საქმე №2/1076-14
330210314417469

4904890820966

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე

(ამონაწერი სხდომის ოქმიდან)

20.02.2019 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თამარ ბურჯანაძე
სხდომის მდივანი - ქეთევან ჭელიძე

განმცხადებელი - სს ,,თიბისი ბანკი"
წარმომადგენელი - ვასილ ტიტვინიძე

მოვალე - შპს ,,სანი"
წარმომადგენლები - ირაკლი გვარამია, სერგო გვარამია, გოჩა ფიფია

მეურვე - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენელი - თამთა მაჭარაშვილი

დავის საგანი - განცხადება გადახდისუუნარობის საქმიანობის დაწყების შესახებ

2019 წლის 20 თებერვალს გამართულ სხდომაზე სასამართლომ განიხილა კრედიტორთა კრების გადადების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია განცხადება გადახდისუუნარობის საქმიანობის დაწყების შესახებ (საქმე N2/1076-14, განმცხადებელი - სს ,,თიბისი ბანკი", მოვალე - შპს ,,სანი").

2019 წლის 08 იანვრის განჩინებით, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მოწვეულ იქნა კრედიტორთა კრება 2019 წლის 20 თებერვალს, 14:00 საათზე, რის თაობაზეც, სათანადო წესით ეცნობათ კრედიტორებსა და მოვალეს, თუმცა მათი უმრავლესობა არ გამოცხადდა კრედიტორთა კრებაზე.

ასევე გამოირკვა, რომ იმ სავარაუდო კრედიტორთა განცხადებები, რომელთაც გააჩნიათ მოთხოვნები მოვალის მიმართ, წარდგენილია მხოლოდ მეურვისათვის, რომლის

წარმომადგენელსაც დაევალა ზემოხსენებული განცხადებების სასამართლოსთვის წარმოდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო თვლის, რომ 2019 წლის 20 თებერვალს გამართულ სხდომაზე შეუძლებელია კრედიტორული მოთხოვნების სრულყოფილად შემოწმება და განხილვა, რის საფუძველზეც, მიზანშეწონილად მიიჩნევს, კრედიტორთა კრების გადადებას.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, მე-9, 25-ე, 27-ე, 32-33-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კრედიტორთა პირველი კრების ფორმატში მოწვეულ იქნეს მორიგი სხდომა **2019 წლის 08 აპრილს, 16:00 საათზე,** თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) **სხდომის დარბაზი №63**, შემდეგი დღის წესრიგით:

- კრედიტორთა მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა კრედიტორად აღიარების შესახებ;
- მომრიგებელი საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა;

2. განჩინება გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე''-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სასამართლოს დაფაზე და ვებ-გვერდზე **www.tcc.gov.ge**;

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში კერძო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

მოსამართლე **თამარ ბურჯანაძე**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=..... .... - ...., c=GE
Date: 2019.02.26 15:27:41 +04'00'